ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისია

ოქმი:**ო47.47220125**

თარიღი:**12/01/2022**

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებული სხდომის

ოქმი N 10

დ. ჩოხატაური 24 დეკემბერი, 2021 წელი.

თავმჯდომარეობდა: მარინე ბერაძე.

ესწრებოდნენ: დავით ტყეშელიაძე, დავით გუდავაძე, მიხეილ თავართქილაძე, ჯუმბერ ბერძენიშვილი, ნოდარ ცხომელიძე, ბაია ძნელაძე, ბაჩო ახალაძე, გოჩა ჯიქია, აკაკი ყაჭეიშვილი, კობა კალანდაძე, ქეთევან სიხარულიძე, ზაურ ზარბაზოია, თემურ ხუხუნაიშვილი, ლაშა თოლორდავა, გოგი ბოლქვაძე, სათუნა ბერიშვილი.

არ ესწებოდა: მაია გიორგაძე, ლაშა ირემაძე, მარინე თავაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, დიმიტრი კორიფაძე, მამია ბარამიძე.

მოწვეული: ირაკლი კუჭავა - საკრებულოს თავმჯდომარე;

მაია გოგოლაძე **-** მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ნიკოლოზ დუმბაძე - მერიის სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი;

მარიტა მგალობლიშვილი - სპეციალისტი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა დაექსპერტიზის საკითხებში.

სხდომის თავმჯდომორემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრეთ წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ;

2.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ;

3**.** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;

4. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ;

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვა:</u> მარინე ბერძემ, მან აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ სიხარულიძე ინფიცირებულია covid -19-ით, ახლადარჩეული კომისიის თავმჯდომარეს ჯერ არჩეული არ ჰყავს მოადგილე, წარმოიშვა საჭიროება გაერთიანებული სხდომის ჩატარების. შესაბამისად დრვანდელი სხდომის დღის წესრიგი მოიცავს ორივე კომისიის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს და გადაწყვეტილებები მიიღება გაერთიანებული სხდომის ფარგლებში.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 18

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 18 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

2.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

3**.** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარიტამგალობლიშვილი

4. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

I საკითხი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> მარინე ბერაძემ, მაია გოგოლაძემ, რომელმაც კომისიებს წარმოუდგინა 2022 წლის ბიუჯეტის პროექი.

გოჩა ჯიქია დაინტერესდა, რამდენი ლარით განისაზღვრა საკრებულოს წევრის უფლებამოსილების თანხა, რაზეც საკრებულოს თავმჯდომარემ გააკეთა განმარტება, რომ ფინანსთა სამინისტროში იყო შეხვედრები და მათთან შეთანხმებით განისაზღვრა ის სახელფასო პარამეტრები, რაც ბიუჯეტის პროექტითაა წარმოდგენილი, რაც შეეხება უფლებამოსილების თანხას, რადგან კანონი იძლევა შესაძლებლობას, თავმჯდომარის ხელფასისი მინიმუმ 15%-ით განისაზღვროს, ეს თანხა არის 676 ლარი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _18

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 18 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ დადგენილების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

II საკითხი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

2.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> მარინე ბერაძემ, რომელმაც კომისიას განუმარტა, რომ ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტთან ერთად ხდება სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცება, განმარტებისთვის კი სიტყვა გადასცა მომხსენებელს.

ნიკოლოზ დუმბაძემ, განუმარტა კომისიებს 2022 წლის სოციალური დახმარების გცემის წესის წარმოდგენილი პროექტი და აღნიშნა, რომ სოციალური ბიუჯეტი 2021 წელში იყო 900.000 ლარამდე, 2022 წელში კი გაიზარდება 1 134.000-მდე. ახალია მე-11 მუხლი, რომელიც დაკავშირებულია ბავშვთა უფლებების დაცვასთან, ეს ეხება ოჯახებს, რომლებიც არიან კრიზისულ მდგომარეობაში. ცვლილება ითვალისწინებს წლის განმავლობაში ერთჯერად დახმარებას, დაახლოებით, 800 ლარის ფარგლებში, ასევე, ახალი მუხლია, შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის მექანიკური სავარძელ-ეტლის შეძენა.

მარინე ბერაძემ აქვე დაამატა, რომ მუხლში, რომელიც უკავშირდებოდა ცილაგამოცლილი პროდუქტების შეძენას, შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის, იქნება ზოგადი ბენეფიციარებისთვის. მოხდება, როგორც ცილაგამოცვლილი, ასევე, ნახშირწყლებისგან გამოთავისუფლებული საკვები პროდუქტის შეძენა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _18

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 18 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ დადგენილების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

III საკითხი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარიტა მგალობლიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> მარინე ბერაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი დაემატება იმ მუნიციპალიტეტებს, სადაც აღნიშნული პროექტი ფუნქციონირებს; განმარტებისთვის კი სიტყვა გადასცა მომხსენებელს.

მარიტა მგალობლიშვილმა აღნიშნა, რომ დოკუმენტი, რომელიც მტკიცდება, იქნება სამ წლიანი სამოქმედო გეგმა. ბიუჯეტშიც გათვალისწინებულია გარკვეული თანხა, თუმცა საჭირო იქნება დონორების მოძიება. კომისიებს განუმარტა, თუ რა არის აღნიშნული ცენტრის შექმნის მიზანი: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის" მიზანია, მხარი დაუჭიროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევებისა და სირთულეების დაძლევას და ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და კეთილდღეობას. ის განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ხედვას, საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, სერვისების, პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვასა და მიწოდებას და შედეგებს, რომლებიც მიღწეულ უნდა იქნას მომდევნო 3 წლის განმავლობაში. სტრატეგიის მიზნების წარმატებით განხორციელებისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ მასში გათვალისწინებული რესურსები, სერვისები და პროგრამები ფოკუსირებული იყოს ბავშვებზეც სასკოლო ასაკიდან.

სტრატეგია უზრუნველყოფს, რომ ყველა ახალგაზრდა თანაბრად სარგებლობდეს იმ შესაძლებლობებით და სიკეთეებით, რაც უკვე არსებობს ან მომავალში შეიქმნება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდების არაორგანიზებული ჯგუფებისა და სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერასა და მონაწილეობას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _18

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 18 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, გადაწყვიტოს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

IV საკითხი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმა.

<u>მოისმინეს :</u>

4.საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმა.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> მარინე ბერაძემ, დავით ტყეშელიაძემ, ჯუმბერ ბერძენიშვილმა, ლაშა თოლორდავამ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _18

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 18 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა და ცნობად მიიღო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმა(თან ერთვის).

V საკითხი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> მარინე ბერაძემ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _18

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 18 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა და ცნობად მიიღო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმა(თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

მარინე ბერაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი